



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

გიორგი ნოსელიძე

ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან
შეუღლების ჰიდრაულიკური გაანგარიშება

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა მშენებლობა

შიფრი 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2022წ

საავტორო უფლება © 2022 წელი გიორგი ნოსელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სამშენებლო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი ნოსელიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით:

„ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ჰიდრაულიკური გაანგარიშება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იური ქადარია

რეცენზენტი: -----

რეცენზენტი:-----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022წ

ავტორი: გიორგი ნოსელიძე

დასახელება : „ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ჰიდრავლიკური გაანგარიშება“.

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე ცივილიზაციის არსებობისათვის აუცილებელია წყლის ობიექტების ინტენსიური გამოყენება, რისთვისაც განუზომლად იზრდება ჰიდრავლიკურ ობიექტებზე ანთროპოგენული ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები. გლობალური დათბობის პირობებში, მდინარეებში წყლის ნაკადის რეგულირება დამოკიდებულია ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

- დისერტაციაში განხილულია წყალსაცავში ნამატი მაქსიმალური საანგარიშო კატასტროფული ხარჯის ქვემო ბიეფში გასატარებლად თვით კაშხალზე დაგეგმარებული პრაქტიკული პროფილის წყალსაშვის ჩანაცვლება ფართოზღურბლიანი წყალსაშვით საინვესტიციო, საპროექტო თუ საექსპლუატაციო ნაგებობებზე. განხილული მაგალითების ანალიზით ნაჩვენებია პრაქტიკული პროფილის წყალსაშვის ჩანაცვლება ფართოზღურბლიანი წყალსაშვით, რომელიც გაზრდის ნაგებობის საიმედოებასა და ეკონომიურობას. გათვალისწინებულია ფართოზღურბლიანი წყალსაშვის ოპტიმალური შეუღლების ჰიდრავლიკური გაანგარიშება სწრაფდენთან.
- წინასწარი კვლევით დადგენილია შემაუღლებელი ნაგებობის სავარაუდო ზომები და ჩატარებულია მისი ჰიდრავლიკური გაანგარიშება. ავტორის მიერ შემუშავებული მოდელის გამოცდა ექსპერიმენტულად ჩატარდა აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიაში, რის შედეგადაც შესწავლილ და დაზუსტებულ იქნა გამოსაკვლევად შერჩეული ვარიანტის უპირატესობა არსებულ პრაქტიკული პროფილის წყალსაგდებ ნაგებობასთან შედარებით და შერჩეულ იქნა ახალი ტიპის წყალსაგდები ნაგებობის ოპტიმალური ზომები. ჩატარებული ცდის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელ იქნა ნატურაში განსაზღვრულიყო ფართოზღურბლიანი წყალსაშვიდან გადადინებული წყლის თავისუფალი ზედაპირის ნიშნულები არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის შემაუღლებელ ნაგებობაში.
- ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა წყალსაგდები ნაგებობები სხვადასხვა გეომეტრიული მოხაზულობით, წყლის ნაკდების სიღრმეები გაანგარიშებულია თეორიული და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე. აგებულია ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდები.
- აღნიშნული საკითხების კვლევა მიმდინარეობდა ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით შემოთავაზებულია ახალი ტიპის წყალსაგდები ნაგებობისათვის კონსტრუქციული ზომები და ჩატარებულია ოპტიმალური ვარიანტის ჰიდრავლიკური გაანგარიშება.

Abstract

The existence of modern civilization necessitates the intensive use of water objects, for the purpose of which the forms and scales of anthropogenic impact on hydraulic objects are immeasurably increasing. In the context of global warming, the regulation of river flow depends on the environmental situation.

- The replacement of a practical profile spillway planned on the dam itself with a broad crested spillway on investment, project or exploitation facilitates to bear the maximum estimated catastrophic spending downstream of the bief are discussed in the dissertation. The analysis of the considered examples shows the replacement of a practical profile spillway with a broad crested spillway, which will increase the reliability and efficiency of the structure. A hydraulic calculation of the optimal connection of a broad crested spillway with the flume is given.
- Approximate dimensions of the connection structure are determined through preliminary research and its hydraulic calculation has been carried out. The test of the model developed by the author was carried out experimentally in the laboratory of Tsotne Mirtskhulava Water Management Institute, as a result of which the advantages of the chosen option were studied and clarified in comparison with the existing practical profile spillway structure and optimum dimensions of new type spillway structure have been selected. According to the data obtained as a result of the experiment, it was possible to determine the signs of a free surface of water flown from a broad crested spillway into a non-prismatic non-cylindrical connection structure in reality.
- The paper considers such issues as spillway structures with different geometric shapes, the depth of water flow is calculated on the grounds of theoretical and laboratory studies. Graphs of free surface of the flow are built.
- The investigation of mentioned issues was carried out considering environmental problems, design measures for a new type of spillway structure offered, and a hydraulic calculation of the optimal variant was carried out.

შინაარსი

შესავალი	15
ლიტერატურის მიმოხილვა	20
თავი1. წყალსაცავის წყალსაგდები ნაგებობის მუშაობის რაციონალური რეჟიმების განმსაზღვრელი მეთოდები.....	20
1.1. მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ზოგადი მიმოხილვა.....	20
1.2. წყალსაგდები ნაგებობების ტიპების და მახასიათებელი ფაქტორები.....	22
1.3. არხაშენის პროექტით გათვალისწინებული წყალსაგდები ნაგებობის ანალიზი.....	27
კვლევა, შედეგები და მათი განსჯა.....	27
თავი. 2 ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების გაანგარიშება	31
2.1. ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გადადინებული წყლის ნაკადის სიღრმის განსაზღვრა	31
2.2 არხაშენის წყალსაცავის მონაცემებით ფართოზღურბლიანი წყალსაშვზე გადადინებული ნაკადის სიღრმის განსაზღვრა.....	35
2.3 თავისუფალი ზედაპირის მრუდის აგება ბერნულის განტოლებით (ჩარნომსკი-ხესტადეს მეთოდი).....	37
2.4. ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების თეორიული კვლევის შედეგები არხაშენის წყალსაცავის მონაცემებით	42
2.5. არაპრიზმული არხის გავლენა სწრაფმდენში წყლის ნაკადის ზედაპირის ნიშნულებზე	61
2.6. სწრაფდენის ბოლო კვეთში ნაკადის ენერგიის ჩამქრობი ნაგებობის გაანგარიშება.....	65
თავი 3. არაცილინდრული, არაპრიზმული შემაუღლებელ ნაგებობაში ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის აგების ექსპერიმენტალური კვლევა	70
3.1. წყალსაგდები ნაგებობის მოდელირების თეორიის განხილვა ექსპერიმენტული მოდელის პარამეტრების დადგენისათვის.....	70
3.2. საკვლევი თემატიკის წყალსაშვები ნაგებობის სწრაფდენტან შეუღლების ექსპერიმენტული კვლევის ლაბორატორიის აღწერა.....	80

3.3. ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ექსპერიმენტული კვლევა.....	84
3.4 არაპრიზმული არხის შემაუღლებელი დარქიმიანი ნაგებობის მოდელი.....	94
თავი 4. პრაქტიკული პროფილის წყალსაშვი.....	99
4.1. პრაქტიკული პროფილის წყალსაგდების ანგარიში.....	99
4.2 პროექტით არსებული, თეორიული გაანგარიშებით მიღებული სიდიდეებისა და ექსპერიმენტის შედეგების შედარება.....	108
4.3. წყალსაგდები ნაგებობების შედარებითი ანალიზი ეკონომიკური ეფექტურობის გათვალისწინებით.....	110
დასკვნები.....	113
გამოყენებული ლიტერატურა.....	115

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. საპროექტო კოორდინატების დამოკიდებულება სარკისებრ ზედაპირზე და წყალსაცავის მოცულობაზე	27
ცხრილი 2. სხვადასხვა საანგარიშო მაქსიმალური წყლის ხარჯის უზრუნველყოფა	36
ცხრილი 3. ნაკადის თავისუფალი ზედაპირის ნიშნულები.....	47
ცხრილი 4. არაპრიზმული, არაცილინდრული არხის $i = 0.1875$ სხვადასხვა კვეთში წყლის სიღრმეები, ნაკადის სხვადასხვა ხარჯის დროს.....	56
ცხრილი 5. არაპრიზმული, არაცილინდრული არხის $i = 0.1875$ სხვადასხვა კვეთში წყლის სიჩქარეები და ფრუდის რიცხვის მნიშვნელობები წყლის ნაკადის სხვადასხვა ხარჯის დროს.	58
ცხრილი 6. ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის სიღრმეები	59
ცხრილი 7. არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის შემაუღლებელი ნაგებობის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირი	60
ცხრილი 8. სწრაფდენი არხის გაანგარიშება ბ. ა. ბახმეტევის მეთოდის გამოყენებით	64
ცხრილი 9. სამკუთხა წყალსაშვის ხარჯის სიდიდეები (კუთხე $a = 90^{\circ}$) ფორმულით $Q = 1.4H^2\sqrt{H}$	85
ცხრილი 10. სამკუთხა წყალსაშვის ხარჯის სიდიდეები (კუთხე $a = 90^{\circ}$) ფორმულით $Q = 1.343H^{2.47}$	86
ცხრილი 11. $N = H^{2.5}$ დამოკიდებულება.....	87
ცხრილი 12. ნაკადის შრის სიღრმე სამკუთხა წყალსაშვზე.....	89
ცხრილი 13. ლაბორატორიული ცდის შედეგები.....	92
ცხრილი 14.	101

ცხრილი 15.	103
ცხრილი 16.	105
ცხრილი 17.	106
ცხრილი 18.	107
ცხრილი 19.	111

ნახაზების ნუსხა

ნახ.1. პროექტში არსებული პრაქტიკული და შემოთავაზებული ფართოზღურბლიანი წყალსაშვ ნაგებობათა შეთავსების სქემა.....	28
ნახ.2. არხაშენის წყალსაცავის ჰიდროკვანძის გეგმა.....	29
ნახ.3. დაუძირავი ფართოზღურბლიანი წყალსაშვი	33
ნახ. 4. ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გადადინებული წყლის ნაკადი $Q = 135$ მ ³ /წმ	36
ნახ. 5. არაპრიზმული, არაცილინდრული კალაპოტი	38
ნახ. 6. არაპრიზმული, არაცილინდრული კალაპოტის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის საანგარიშო სქემა	43
ნახ. 7. ენერგიის მრუდი 135 მ ³ /წმ წყლის ხარჯის დროს b_{m+1} კვეთში	45
ნახ. 8. ენერგიის მრუდი 135 მ ³ /წმ წყლის ხარჯის დროს b_{m+2} კვეთში	45
ნახ. 9. ენერგიის მრუდი 135 მ ³ /წმ წყლის ხარჯის დროს b_{m+3} კვეთში	45
ნახ. 10. ენერგიის მრუდი 135 მ ³ /წმ წყლის ხარჯის დროს b_{m+4} კვეთში	46
ნახ. 11. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არაცილინდრული არხის $i = 0.1250$ ქანობის დროს	48
ნახ. 12. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.13125$	48
ნახ. 13. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.13750$	49
ნახ. 14. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.14375$	49
ნახ. 15. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.1562$	50
ნახ. 16. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.150$	50
ნახ. 17. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.1625$	51
ნახ. 18. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.1688$	51

ნახ. 19. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.1750$	52
ნახ. 20. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.1750$	52
ნახ. 21. თავისუფალი ზედაპირის წირი, არაპრიზმული არხი $i = 0.18750$	53
ნახ.22. არაპრიზმული, არაცილინდრული არხის $i = 0.1875$ ქანობისთვის სხვადასხვა კვეთში წყლის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირები და ნიშნულების ნაკადის ხვადასხვა ხარჯის დროს.....	57
ნახ. 23. ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირი არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის შემაუღლებელი ნაგებობა $L = 50; i = 0.1875$	59
ნახ. 24. ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირი არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის შემაუღლებელი ნაგებობა $L = 60; i = 0.1875$	60
ნახ. 25. ნაკადის სიღრმე სწრაფდენში.....	65
ნახ. 26. ენერჯის ჩამქრობი ნაგებობა სწრაფდენის ბოლო კვეთში.....	66
ნახ. 27. h_x^2 და მნიშვნელობა, $Q(h)$ დამოკიდებულების მრუდი.....	68
ნახ 28. თხელკედლიანი სამკუთხა ტიპის წყალსაშვი	85
ნახ. 29. განსაზღვრულია სამკუთხა წყალსაშვიდან გადმოდინებული წყლის ხარჯის სიდიდე როცა $\alpha = 90^0$	85
ნახ. 30. არაპრიზმული, არაცილინდრული შემაუღლებელი ნაგებობის მოდელზე მიღებული ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირები სხვადასხვა ქანობის დროს არაცილინდრული ფორმის შემაურლებელი არხის პროექტით გათვალისწინებული სწრაფდენტან შეურლების კვეთში 8.5 მეტრის ნაცვლად 6.5 მეტრის შესაბამისი მოდელი.....	91
ნახ. 31. არაპრიზმული, არაცილინდრული მოდელის მეორე ვარიანტი სწრაფდენტან შემაუღლებელი ღარქიმიანი ნაგებობის მოდელის გეგმა (პროფესორ ი. ქადარიას წინადადებით).....	96
ნახ. 32. არაპრიზმული, არაცილინდრული მოდელის მეორე ვარიანტი სწრაფდენტან შემაუღლებელი ღარქიმიანი ნაგებობის მოდელის ჭრილი	97
ნახ. 33. არაპრიზმული, არაცილინდრული მოდელის მეორე ვარიანტი სწრაფდენტან შემაუღლებელი ღარქიმიანი ნაგებობის მოდელის აქსონომეტრული ნახაზი	98
ნახ. 34. წყალსაგდები ნაგებობის საანგარიშო სქემა.....	99

ნახ.35. დინების სიჩქარე, რომლის დროსაც ხდება გადასვლა მძაფრი ნაკადის წყნარ ნაკადში102

ნახ.36. პრაქტიკული პროფილის წყალსაშვიდან გადადინებული კატასტროფული წყლის ნაკადის სირრმე შემაურლებელ ნაგებობაში, როცა სწრაფდენთან შეუღლების კვეთში არაპრიზმული სწორკუთხა შემაულლებელი ნაგებობის ფუძის სიგანე ყდრის 6.5 მეტრს.....108

სურათების ნუსხა

სურ. 1. წყალთამეურნეობის ინსტიტუტის ბაზაზე ჰიდრავლიკურ ლაბორატორიაში არსებული ჰიდრავლიკური ღარი.....	81
სურ. 2. ჰიდრავლიკური ღარის სადაწნეო რეზერვუარი	82
სურ. 3. წყალთამეურნეობის ინსტიტუტის ბაზაზე ჰიდრავლიკურ ლაბორატორიაში არსებული ჰიდრავლიკური ღარის მზომი ტესტერი.....	82
სურ. 4. ჰიდრავლიკური ღარი წყლის ნაკადის გადაადგილების პროცესში.....	83
სურ. 5. წყალთამეურნეობის ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ ჰიდრავლიკურ ღარში განთავსებული თხელკედლიანი სამკუთხა ტიპის წყალსაშვი.	90
სურ. 6. ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ჰიდრავლიკური მოდელი.....	92
სურ. 7. არაპრიზმულ, არაცილინდრულ შემაუღლებელ ნაგებობაზე ნაკადის აზვირთება	95
სურ. 8. არაპრიზმულ, არაცილინდრულ შემაუღლებელ ნაგებობაზე ნაკადის აზვირთების პროცესის დაკვირვება პროფესორ ი. ქადარიას მიერ ექსპერიმენტული ცდის მსვლელობის პროცესში.....	96
სურ. 9. არაპრიზმული არაცილინდრული მოდელის მეორე ვარიანტი სწრაფდენთან შემაუღლებელი ღარქიმისანი ნაგებობის მოდელის (პროფესორ ი. ქადარიას წინადადებით).....	97

მადლიერების გვერდი

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს იური ქადარიას უდიდესი დახმარებისთვის ამ სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დასრულების საქმეში, თითქმის ყოველდღიური პრაქტიკულ-თეორიული კომუნიკაციისთვის და სამუშაოების ეფექტური ორგანიზებისთვის;

მადლობას ვუხდით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანს პროფესორ ზურაბ გვიშიანს ჩემი, როგორც სტუდენტი-დოქტორანტისათვის გაწეული სამუშაოსა და ხელსეწყობისათვის;

მადლობას ვუხდით დახმარებისათვის აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ გივი გავარდაშვილს ჩემი, როგორც სტუდენტი-დოქტორანტისათვის გაწეული ლაბორატორიული სამუშაოების ორგანიზებისა და ხელსეწყობისათვის;

მადლობას ვუხდით სტუ-ს პროფესურას, რომელთაც სასარგებლო კრიტიკული შენიშვნები მომცეს კოლოკვიუმების და თემატური სემინარების ჩატარებისას

მადლობას ვუხდით სტუ-ს სადისერტაციო საბჭოს წევრებს, რეცენზენტებს, რომლებმაც განიხილეს მოცემული სადისერტაციო ნაშრომი;

მადლობას ვუხდით ოჯახის წევრებს განუსაზღვრელი დახმარებისა და მორალური მხარდაჭერისთვის.

შესავალი

ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა კორექტირებულ მიდგომას მოითხოვს გლობალური დათბობის პირობებში. გადახედვას საჭიროებს დღემდე არსებული კატასტროფული ხარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგია. იზრდება მოთხოვნები მაღალი კლასის ნაგებობების დასაფინანსებლად. შესაბამისი საფინანსო ორგანიზაციები მოითხოვენ წყალსაგდები და წყალსაშვები ნაგებობების წყლის გამტარუნარიობის გაზრდას, რომელიც შესაბამისად აყენებს საკითხს ნაგებობის ახლებურად კონსტრუირებისა და გაანგარიშების შესახებ, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი ყურადღება ექცევა ნაგებობის ხანმედეგობისა და ექსპლუატაციის გაზრდის პირობებს. ზემოთ მოყვანილი პირობების გათვალისწინებით განხილულია საინვესტიციო პროექტით წარმოდგენილ კაშხალზე წყალსაშვები და წყალსაგდები ნაგებობები მდინარე არხაშენი-ხევის მონაცემებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, არხაშენი-ხევის კალაპოტში პროექტითაა გათვალისწინებული კაშხლის მშენებლობა, რომლის სიმაღლეა 35.2 მ. კაშხალი უნდა აშენდეს ადგილობრივი მასალისაგან. პროექტი შესრულებულია საპროექტო ინსტიტუტის მიერ 2014 წელს, ბელარუსიის რესპუბლიკაში (ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი И. И. Копустинский). პროექტი ითვალისწინებს 5000 ჰა. ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მორწყვას.

კატასტროფული ხარჯის ქვემო ბიეფში გასატარებლად კაშხლის უკიდურეს მარცხენა ნაწილში თვით კაშხალზე დაპროექტებულია ნორმალური შეტბორილი ჰორიზონტთან შეთავსებული 3 მეტრი სიმაღლის პრაქტიკული პროფილის ბეტონის წყალსაშვიანი კაშხალი სიგრძით 40 მეტრი. შესასვლელი უბანი ჰიდრაულიკური გაანგარიშებით შეუღლებულია 8.5 მ სიგანის სწრაფდენთან, რომლის საერთო სიგრძეა 463.5 მ.

პროექტის აქტუალობა. საკითხის კვლევისათვის საჭიროა შესწავლილ და გაანგარიშებულ იქნეს ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან, სწრაფდენთან, შეუღლების ჰიდრავლიკური პროცესი და მისი ოპტიმალური შეერთების კონსტრუირება და ჰიდრავლიკური გაანგარიშება, რომელიც გაზრდის მთლიანობაში ნაგებობის საიმედოებასა და ეკონომიურობას. განხილული საპროექტო თუ საექსპლუატაციო ობიექტების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი თემა აქტუალურია როგორც მიმდინარე გლობალური დათბობის პირობებში, ასევე ეკონომიკური და მდგრადობის თვალსაზრისით.

გადახედვას მოითხოვს დღეს არსებული წყლის კატასტროფული ხარჯების გაანგარიშების მიდგომები, რომელიც გამოწვეულია როგორც გლობალური დათბობით, ასევე საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნებით, ეს უკანასკნელი გულისხმობს კატასტროფული ხარჯების გაზრდას მაღალი კლასის ობიექტების გაანგარიშებისას.

შემოთავაზებული ფართოზღურბლიანი წყალსაშვის ნაგებობის სწრაფდენთან შეუღლების ჰიდრავლიკური გაანგარიშება წარმოადგენს დასმული საკითხის ერთ-ერთ გადაწყვეტას, რომელიც გააუმჯობესებს ნაგებობის მდგრადობას და საიმედოებას.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ჰიდრავლიკური კვლევა თეორიულ გაანგარიშებასა და ლაბორატორიულ კვლევებზე დაყრდნობით, არხაშენი-ხევის პროექტით არსებული წყალსაცავის კატასტროფული ხარჯის მონაცემით. დადგინდეს წყალსაგდები ნაგებობის კომპლექსში პრაქტიკული პროფილის (3მ სიმაღლის) კაშხლის ჩანაცვლების უპირატესობა ფართოზღურბლიანი წყალსაშვით, მისი ეკონომიკურობისა და მდგრადობის გათვალისწინებით.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების

ჰიდრავლიკური პროცესები, კერძოდ ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გადადინებული ნაკადის სიღრმის განსაზღვრა, არაპრიზმული არაცილინდრული ფორმის სწრაფდენთან შემაუღლებელ ნაგებობაში ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის აგება, სწრაფდენში ნაკადის სიღრმის განსაზღვრა და სწრაფდენის ბოლო კვეთში ენერჯის ჩამქრობი ნაგებობის გაანგარიშება. კვლევის მეთოდს წარმოადგენს თეორიული და ექსპერიმენტული გაანგარიშება წყალსაგდები ნაგებობის თითოეული შემადგენელი კვანძის. მიღებული შედეგების შედარება პრაქტიკული პროფილის წყალსაშვიდან გადადინებული წყლის ნაკადის ჰიდრავლიკურ მახასიათებლებთან არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის სწრაფდენთან შემაუღლებელ ნაგებობაში.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. ნაშრომის ძირითად შედეგს წარმოადგენს წყალსაგდები ნაგებობის ჰიდრავლიკური გაანგარიშებით მიღებული ჰიდრავლიკური მახასიათებლები. ფართოზღურბლიანი წყალსაშვიდან გადადინებული ნაკადის ჰიდრავლიკური გაანგარიშებით მიღებული მახასიათებლების შედარება პრაქტიკული პროფილის წყალსაშვიდან გადადინებული წყლის ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლებთან. მიღებული შედეგები ცხადყოფს ფართოზღურბლიანი წყალსაშვიზე გადადინებული წყლის ნაკადის არაპრიზმულ კალაპოტში ნაკადის თავისუფალი ზედაპირის სიღრმე ნაკლებია პრაქტიკული პროფილის წყალსაშვიდან გადადინებული ნაკადის სიღრმეზე არაპრიზმულ, არაცილინდრული ფორმის სწრაფდენთან შემაუღლებელ ნაგებობაში. შემუშავებულია არაპრიზმული, არაცილინდრული ნაგებობაში ნაკადის რადიალური მოძრაობის ჩამხშობი ახალი ტიპის არაპრიამული ფორმის სწორკუთხა სწრაფდენთან შემაუღლებელი ნაგებობა, რომელის გამოყენებით ჩატარებულია კვლევა წყალთამყურნეობის ისნტიტუტის ბაზაზე არსებულ ჰიდრავლიკის ლაბორატორიაში.

პრაქტიკული მნიშვნელობა და შედეგების გამოყენების სფერო.

წყალსაგდები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ნაგებობაა ჰიდროკვანძის შემადგენლობაში. მის გამართული ფუნქციონირება განაპირობებს კატასტროფული ხარჯის უსაფრთხო გატარებას ზემო ბიეფიდან ქვემო ბიეფში, ხოლო ეკონომიკური და მდგრადობის მაჩვენებლების ხარისხობრივი გაუმჯობესება უნდა გახდეს დანერგვის წინაპირობა.

არხაშენის წყალსაცავის პროექტით არსებული წყალსაგდები ნაგებობის მონაცემების კვლევა და ახალი ტიპის წყალსაგდები ნაგებობების სწრაფდენთან შეუღლების მეთოდის დამუშავება, თეორიული გაანგარიშება, წყალსაგდები ნაგებობის სხვადასხვა კონსტრუქციული ზომების მოდელის კვლევა ლაბორატორიულ პირობებში საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ წყალსაგდები ნაგებობის ოპტიმალური ზომები. არსებულ საინვესტიციო პროექტში მიღებული შედეგების დანერგვა მოგვცემს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს.

დისერტაციის პირველ თავში აღმოცემულია მდინარეების ჰიდროლოგიური პროცესები, წყალსაგდები ნაგებობების კონსტრუქციული სახეები და მათი მუშაობის პირობები, ჰიდრაულიკური თვალსაზრისით.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია წყალსაშვები ნაგებობების ჰიდრაულიკური გაანგარიშება, წყლის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის აგება არაპრიზმულ არხში და მისი შეუღლება სწრაფდენთან.

კვლევის მესამე თავში განხილულია ჰიდრაულიკური გაანგარიშების მოდელირების თეორია, კვლევითი ჰიდრაულიკური ლაბორატორიის არწერა, ცდის მიმდინარეობის პროცესი და შედეგები.

მეოთხე თავში წარმოდგენილია ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ჰიდრაულიკური გაანგარიშების კვლევის შედეგები.

ავტორი დიდი პატივისცემითა და მადლიერებით მოიხსენიებს პროფესორ იური ქადარიას, რომლის მოწოდებამ და პროფესიულმა რჩევებმა

განაპირობა წინამდებარე ნაშრომის შექმნა. დისერტანტი მაღლობას მოახსენებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს თანადგომისა და დახმარებისთვის. ასევე დიდი პატივისცემითა და მაღლიერებით მოიხსენიებს აკადემიკოს ც. მირცხულავას სახელობის წყალსთამბურნეობის ინსტიტუტის აკადემიურ პერსონალს, მეცნიერ თანამშრომლებს და ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ გივი გავარდაშვილს.

დისერტაციის თემის მიხედვით გამოქვეყნებულია 5 ნაბეჭდი სტატია, მათ შორის საკვლევ თემასთან დაკავშირებული 3 სტატია.

დისერტაცია შედგება შესავლისაგან, 4 თავისაგან და დასკვნებისაგან. მუშაობის ძირითადი ნაწილი მოიცავს A4 ფორმატის ერთ გვერდზე 121 ნაბეჭდ გვერდს, რომელშიდაც შედის 36 ნახაზი და 19 ცხრილი, ლიტერატურის სია მოიცავს 115 სამამულო და უცხოელ ავტორების ნაშრომებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი1. წყალსაცავის წყალსაგდები ნაგებობის მუშაობის რაციონალური რეჟიმების განმსაზღვრელი ეთოდები.

1.1. მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ზოგადი მიმოხილვა

ნალექების სახით მოსული წყალი, დედამიწის გეოიდური ფორმიდან გამომდინარე, რელიეფური პირობების გათვალისწინებით თავს იყრის, გროვდება დადაბლებულ ადგილებში, იწყებს დინებას ბუნებრივი ქანობის გასწვრივ პატარ-პატარა ჭავლებად, გარკვეული მანძილის გავლის შემდგომ ერთვიან ერთმანეთს და წარმოქმნიან მდინარეს. მდინარის სიჩქარე სხვადასხვა კვეთში გეგმაში მდინარის კალაპოტის მოხაზულობის, ქანობის, კალაპოტის ფსკერის, ნაპირის ხორკლიანობის გათვალისწინებით სხვადასხვაა. მდინარეები ხასიათდებიან დონის ცვალებადობით, რასაც განაპირობებს ბუნებრივი ჩამონადენის ზრდა და კლება. მდინარეთა რეჟიმების ცვალებადობაზე დიდ გავლენას ახდენს მათი მკვებავი წყაროები. მდინარეები მკვებავი წყაროების მიხედვით იყოფიან სამ ძირითად ჯგუფად:

I.მდინარეები რომლებიც მხოლოდ წვიმის წყლით იკვებებიან.

II.მდინარეები რომელთა კვების წყარო გამდნარი თოვლისა და მყინვარების წყალია.

III. მდინარეები რომლებიც გამდნარი თოვლისა და ყინულის ასევე წვიმის წყლით იკვებებიან. ამის გათვალისწინებით მდინარეთა კვების პირობების ცვალებადობის მიხედვით ჩამონადენის რეჟიმში გამოყოფენ დამახასიათებელ პერიოდებს ანუ ფაზებს: გაზაფხულის წყალდიდობა, წყალმოვარდნა და წყალმცირობა [1,2,3,].

ზამთრის პერიოდში მდინარის წყალშემკრებ აუზში დაგროვილი თოვლის დნობის შედეგად წარმოიქმნება წყლის უხვი ნაკადი, რომელსაც გაზაფხულის წყალდიდობა ეწოდება. მისი მახასიათებელი ელემენტებია:

წყალდიდობის დაწყებისა და დამთავრების დრო, ხანგრძლიობა, მაქსიმალური ხარჯი, მდინარის კალაპოტში დონეების ცვალებადობის პერიოდი, წყალდიდობის პერიოდში ჩამონადენის საერთო მოცულობა და დროის ერთეულში მდინარის მართობულ კვეთში გასული წყლის მაქსიმალური ხარჯი [4,5,6].

მდინარის ჩამონადენის რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს წყალმოვარდნის პერიოდი, რომელიც ხასიათდება მდინარის კალაპოტში დონეების სწრაფი და შედარებით ხანმოკლე აწევით, რაც განპირობებულია ძლიერი ან ხანგრძლივი წვიმებით. წყალმოვარდნა შესაძლებელია წლის ნებისმიერ პერიოდში განსხვავებით, წყალდიდობისგან. მდინარეში წყლის დაბალი დონეებისა და მცირე ხარჯების პერიოდს, რომელიც განპირობებულია ზედაპირული ჩამონადენის მკვეთრი შემცირების ან საერთოდ შეწყვეტით წყალმცირობის პერიოდი ეწოდება [7,8].

გლობალური დათბობის პირობებში და თანამედროვე სამყაროს განვითარების ტემპის გათვალისწინებით დღითი-დღე მატულობს მოთხოვნა ელექტროენერგიაზე, რაც წარმოადგენს სამყაროსა და კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთ შეუცვლელ კომპონენტს. თუ გადავხედავთ მსოფლიოს უახლეს წარსულს და სხვადასხვა მეცნიერების მოსაზრებებს ცხადია ელექტროენერგიის წარმოებაში მთავარი და წამყვანი როლი უჭირავს ჰიდროელექტროსადგურებს. რომელთა მიერ გამოიმუშავებული ელექტრო ენერგია წარმოადგენს ყველაზე უსაფრთხო ენერგიას. სისტემის დატვირთვის გრაფიკი ცხადჰყოფს თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურის მიერ მიღებულ ელექტროენერგიას. ზემოთხსენებული მდინარის მახასიათებლების გათვალისწინებით მდინარის ჰიდროგრაფიული ქსელის, მდინარის მახასიათებელი ძირითადი ელემენტების მორფოლოგიური, გეოლოგიური და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით ხეობაში სხვადასხვა კვეთი შეირჩევა, თაღოვანი,

გრავიტაციული, გრუნტისა და კონტფორსული კაშხლების მშენებლობისთვის [9, 10, 11,12,13,14,15].

თითოეული კაშხალი ერთმანეთისგან განსხვავდება, კონსტრუქციული თვალსაზრისით, მასალის ტიპითა და აგების წესით. კასხლის ტიპის შერჩევა დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე, მდინარის ჰიდროგრაფიულ რეჟიმზე, ჩამონადენის სიდიდეზე და მის განაწილებაზე წლის სხვადასხვა პერიოდში, ნატანის მოძრაობის ხასიათზე, მდინარის ყინულოვან რეჟიმზე, ასაშენებელი კაშხლის მდინარის ხეობის კვეთსა და მშენებლობის რაიონის გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, და კლიმატურ პირობებზე. თითოეული კაშხალი წარმოადგენს ხელოვნურ ნაგებობას, რომლის მიზანია მდინარის კალაპოტში წყლის დონის აწევა რაიმე განსაზღვრულ სიმაღლემდე, ტევადი წყალსაცავის შექმნა წყლის დროებითი აკუმულირების, დაგროვებისა და მოთხოვნილების შესაბამისად მისი შემდგომი ხარჯვის მიზნით. მდინარის კალაპოტში აღმართული კაშხალი, ახდენს წყლის შეტბორვას წარმოქმნის წყალსაცავს და წყლის შეტბორილ დონეს ეწოდება ზემო ბიეფი შემოკლებით ზ.ბ., შესაბამისად წარმოქმნილ დონეთა სხვაობას კაშხლის მიერ შექმნილი დაწნევა – შეტბოვის სიმაღლე ეწოდება, ხოლო კაშხლის ქვემოთ ტერიტორიას ქვემო ბიეფი – ქ. ბ. [16,17,18,19,20,21,22,23].

1.2. წყალსაგდები ნაგებობების ტიპების და მახასიათებელი ფაქტორები

ჰიდროკვანძის შემადგენელ ნაგებობათა შორის კაშხალი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ნაგებობაა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ჰიდროკვანძის ნორმალური და უსაფრთხო ფუნქციონირებიდან გამომდინარე საჭიროა კაშხლის გეგმარებისას გათვალისწინებულ იქნას წყლის უსაფრთხო გატარება ზემო ბიეფიდან ქვემო ბიეფში. მდინარის მახასიათებლების გათვალისწინებით ჰიდროკვანძის პროექტირებისას დიდი ყურადღება ექცევა მდინარის ჩამონადეს და მის

განაწილებას წელიწადში, მაქსიმალურ და მინიმალურ ხარჯს კაშხლის საპროექტო კვეთში. კაშხლის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე ასაგები მასალის ტიპის გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყალსაგდები ნაგებობის ტიპზე. შესაბამისად წარმოებს წყალსაგდები ნაგებობის ტიპის შერჩევა. თუ გათვალისწინებულია ადგილობრივი მასალის მაღალდაწნევიანი კაშხლის მშენებლობა, რომელიც გაატარებს წყალს ზემო ბიეფიდან ქვემო ბიეფში, საჭიროა მოეწყოს სპეციალური წყალსაგდები ნაგებობები. ასევე შესაძლებელია კაშხალში გათვალისწინებულ იქნას ბეტონის წყალსაშვები ნაწილი თხემზე მოთავსებული საკეტებით ან უსაკეტოდ. ზემო ბიეფიდან ქვემო ბიეფში წყლის გატარების თვალსაზრისით კაშხლები არის სამი ტიპის ყრუ, წყალსაშვებიანი და წყალჩასაშვები ხვრეტებით. კაშხლის ნაწილს, სადაც ზედაპირული წყალსაშვები ხვრეტებია მოწყობილი წყალსაშვები ეწოდება. ასევე წყალსაგდებ ნაგებობებს განეკუთნება წყალჩასაშვები ხვრეტები, რომლებიც განთავსებულია რაიმე სიღრმეზე, რომელთა ზღურბლის ნიშნულები განსაზღვრავენ წყალსაცავის შესაძლო დაცლის დონეებს და თუ ისინი განთავსებულია მდინარის კალაპოტის ფსკერთან მაშინ მას ფსკერული ხვრეტები ეწოდება [24,25,26].

წყალსაგდები ნაგებობის მთავარი დანიშნულებას წარმოადგენს ზემო ბიეფიდან გაზაფხულის წყალდიდობისა და წყალმოვარდნის პერიოდში, კოკისპირული წვიმებით, თოვლისა და მყინვარების დნობის დამთხვევით განპირობებული წყლის კატასტროფული ხარჯის უსაფრთხო გატარება ქვემო ბიეფში, რათა თავიდან აცილებულ იქნას წყალსაცავში წყლის დონის ზრდა. წყალსაცავის მოცულობისა და სარკობრივი ზედაპირის ფართობის ზრდა. რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომიჯნავე ტერიტორიების დატბორვა და თვით კაშხლის კონსტრუქციული მდგომარეობას შეუქმნას საფრთხე. წყალსაგდები ნაგებობები შესაძლებელია განთავსებულ იქნას კაშხლის ტანში ან მდინარის რომელიმე ნაპირთან სანაპირო წყალსაგდების სახით.

საკითხის უფრო ღრმა შესწავლისთვის უპრიანი იქნება განვიხილოთ თითოეული ტიპის წყალსაგდები ნაგებობა უფრო ღრმა თვალსაწიერით, რათა სადისერტაციო თემის კვლევა-ძიების დროს უფრო თვალნათლივ წარმოჩნდეს. ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების თემის ძირითადი არსი. პირველ რიგში განვიხილოთ მრუდწირული ფორმის, პრაქტიკული ტროფილის მქონე წყალსაშვი, რომლის სათავისი გეომეტრიული მოხაზულობის მხრივ იყოფა ორ ნაწილად ვაკუუმიანი და უვაკუუმო, გადმოდინებული წავლის ქვეშ ატმოსფეროზე ნაკლები წნევით. ჰიდრავლიკური თვალსაზრისით უვაკუუმო პროფილის მქონე წყალსაშვზე გადადინება ხორციელდება მშვიდად ვიბრაციებისა და დარტყმების გარეშე, განსხვავებით ვაკუუმიანისაგან, სადაც ნაკადის გადადინებისას წყლის ჭავლის ქვეშ ჰაერის შეჭრით ან სათავისის არასწორი მოხაზულობით წარმოიქმნება დარტყმები და ვიბრაციები, მაგრამ ამ უკანასკნელის ხარჯის კოეფიციენტი, გამტარუნარიანობა 10 – 15 %-ით მეტია უვაკუუმო პროფილის მქონე წყალსაშვთან. წყალსაგდების მოსაწყობად სჭიროა შეირჩეს ისეთი ადგილმდებარეობა სადაც ყველაზე უფრო მტკიცე და წაურეცხავი გრუნტებია. პრაქტიკული პროფილის წყალსაგდების ნაგებობის მოწყობა ისე, რომ მან არ წარმოშვას კონტაქტური ფილტრაცია გრუნტში წყალსაშვის გასწვრივ შესაძლებელია მიწის, ადგილობრივი მასალის კაშხლის ტანში [27,28, 29].

სიფონური წყალსაგდები ნაგებობები ეწყობა უშუალოდ კაშხლის ტანში ან მის ზემოთ რკინაბეტონის ან მილის სახით. იგი ზედაპირული წყალსაგდების თავისებური სახეობაა. ჰიდრავლიკური თვალსაზრისით წყალსაშვის გაფართოებული შესასვლელი თავი, რაც განპირობებულია ჰაერის სწრაფი შეჭრისა და შემდგომ ნაკადის წყვეტის თავიდან აცილების მიზნით, ზემო ბიეფიდან დაახლოებით 0.7 – 1.0 მეტრის სიმაღლეზეა ჩაშვებული. თუ ჰიდროკვანზის ადგილმდებარეობისა და მეტეოროლოგიური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მოსალოდნელია ყინულის შეტანა. მაშინ აუცილებელია სიფონის კვეთი

ნორმალური შეტბორვის დონიდან უნდა განთავსდეს უფრო ღრმად არანაკლებ 2 – 3 მეტრის სიღრმეზე. სიფონური წყალსაგდების უარყოფით მხარეს წარმოადგენს მისი გაჭედვა ყინულით, თოვლით ან სხვა შეტივნარებული, ჩაძირული სხეულებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სიფონის მილების შიგა ზედაპირის დაზიანება. ასევე ნაგებობის ვიბრაცია და კლიმატური პირობები ითვლება მის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ. სიფონური წყალსაგდები ზემო ბიეფში წყლის დონის მომატებისას ავტომატურად იწყებს მოქმედებას და ახდენს წყლის ნაკადის ტრანსპორტირებას ქვემო ბიეფში.

კაშხალთ მშენებლობაში გამოიყენება სიღრმული ტიპის წყალსაგდები ხვრეტები, წყალჩასაშვებები. ჩაკეტილი განიკვეთის მქონე წყალსატარი ნაგებობები, რომელთა შემსვლელი ხვრეტის ზედა ნაწიბური მოთავსებულია წყლის დონის ქვეშ და ამავდროულად ზემო ბიეფის მოლამვის დონეზე მაღლა. თუ მდინარეს არ მოაქვს მყარი ნატანი და კაშხლის წინ არ გვხვდება მყარი ნატანის ნალექი მაშინ რეკომენდირებულია კაშხლის ფუძეში მოეწყოს წყალსაცავის დაცლისა და მშენებლობის დროს წყლის ხარჯის გასატარებლად სიღრმული წყალსაგდები. ფსკერული წყალსაგდები სიღრმული წყალსაგდების კერძო შემთხვევას წარმოადგენს იგი ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა 2 – 3 იარუსად განთავსდეს კაშხლის სიმაღლეზე, როგორც ეს განხორციელებულია 180 მ. სიმაღლის ბეტონის შახტის კაშხალზე.

მშიშვნელოვანი ყურადღება ექცევა წყალსაშვების შესასვლელი ნაწილის მდოვრე მოხაზულობის უზრუნველყოფას. საჭიროა თავიდან ავიცილოთ მკვეთრი გადასვლები მის სიგრძეზე და საკეტების განლაგების ზონაში, რათა არ წარმოიქმნას ვაკუუმი და კავიტაცია, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მასალას. ნატანის შეკავების მიზნით სიღრმული წყალსაგდების შესასვლელი ხვრეტების წინ მოწყობილია გისოსი. სიღრმული წყალსაგდებები მოწყობის პირობის გათვალისწინებით განსხვავდება ერთმანეთისგან, სანაპირო ტიპის სიღრმულ წყალსაგდებ

ნაგებობებს აშენებენ გვირაბის სახით, ხოლო კალაპოტის ფარგლებში ბეტონის კაშხლის ტანში შეთავსებულს ჰიდროელექტროსადგურის შენობაში ან ადგილობრივი მასალის კაშხლის ფუძეში მოთავსებული მილების სახით [30,31].

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით კაშხლის ტიპი და მასალის სახეობა გარკვეულწილად განაპირობებს წყალსაგდები ნაგებობის სახეს. წყალსაგდები ნაგებობები კაშხლის ტანის გარეთ იყოფა სხვადასხვა სახის წყალსაგდებებად. განვიხილოთ სანაპირო წყალსაგდები არხები, რომლებიც ძირითადად ეწყობა ისეთი კაშხლების წყალსაცავებში, რომელთა შემტბორავი ნაგებობა, კაშხალი აშენებულია ადგილობრივი მასალით. ღია ტიპის წყალსაგდები ეწყობა უშუალოდ კაშხლის მიმდებარე ტერიტორიასთან ან მისგან მოშორებით.

კაშხლის ტანში მოწყობილი წყალსაგდებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სანაპირო წყალსაგდებები, გეგმაში მოხაზულობიდან გამომდინარე ღია წყალსაგდებები შესაძლოა იყოს სწორხაზოვანი, მრუდხაზოვანი და ჰქონდეს მუდმივი ან ცვალებადი სიგანე. სანაპირო ღია წყალსაგდების მოწყობისას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ტრასის ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებს. მათი მოწყობა შესაძლებელია შემდეგი ძირითადი სქემების მიხედვით, როდესაც წყალსაგდების შემადგენლობაში შედის არხი და მის ბოლო უბანში განთავსებული სწრაფდენი, მეორე სქემაში თავმოყრილია არხი და მრავალსაფეხურიანი ვარდნილი, ასევე შესაძლებელია მოეწყოს არხი და კონსოლური საგდები ან ღია ტიპის წყალსაგდები ნაგებობის შემადგენლობაში შედის არხი და ორი შემაუღლებელი ნაგებობა ვარდნილითა და სწრაფდენით, რომელთა განლაგება დამოკიდებულია ადგილმდებარეობის რელიეფზე. ასეთი ტიპის წყალსაგდები ნაგებობის მშენებლობისა და პროექტირების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ფაქტორები: 1) თუ არხის ჭრილის გრუნტის გამოყენება შესაძლებელია გრუნტის კაშხლის ტანში ყრილისთვის მაშინ ყრილის მოცულობა თანაფარდობაში მოდიოდეს

ყრილის მოცულობასთან. თუ გრუნტი არ აკმაყოფილებს ყრილის მოწყობისათვის საჭირო პირობას მაშინ მიწისსამუშაოთა მოცულობა უნდა იქნეს მინიმალური. 2) კატასტროფული ხარჯის გატარების დროს ქვემო ბიეფშიგამოსასვლელი კვეთი კაშხლის ტანიდან იქნეს დაპროექტებული იმდენად შორს, რომ ქვემო ბიეფში კაშხლის ფერდო არ გამორეცხოს და მისი მდგრადობის პირობა არ დაარღვიოს. 3) გაურეცხაობის პირობის გათვალისწინებითწყლის სიჩქარე საგდებ არში უნდა იქნეს შესაბამისი რათა არ დაირღვეს პირობა და არ წაირეცხოს არხის ფსკერი და ფერდობები. 4) არხი უნდა მოეწყოს წრილში ან ნახევარ ჭრილ-ნახევარ ყრილში და მისი ფერდობები უნდა იქნეს მდგრადი [32,33,34,35].

1.3. არხაშენის პროექტით გათვალისწინებული

წყალსაგდები ნაგებობის ანალიზი


ნაშრომში საკვლევი თემატიკის შესწავლის მიზნით განვიხლოთ არხაშენის წყალსაცავის მახასიათებლები. მთლიანი მოცულობა წყალსაცავის ნიშნულზე ნ.შ.კ. 492.00 მ შეადგენს 7.97 მლნ. მ³, მკვდარი მოცულობა 2.05 მლნ. მ³, სასარგებლო მოცულობა 5.92 მლნ. მ³. მდინარე არხაშენი-ხევზე უნდა აშენდეს ადგილობრივი მასალის გამოყენებით გრუნტის კაშხალი, სადაც პროექტის მიხედვით მარცხენა სანაპირო ზოლთან ზღვის დონიდან 489.00 მ ნიშნულზე განთავსებულია პრაქტიკული პროფილის წყალსაგდები ნაგებობა.

ცხრილი1.

საპროექტო კოორდინატების დამოკიდებულება სარკისებრ ზედაპირზე და წყალსაცავის მოცულობაზე

წყალსაცავში წყლის დონის ნიშნულები მ	წყლის მოცულობა მლნ. მ ³	წყლის ზედაპირის ფართობები კმ ²
კ.შ.კ.	493,14	8,77
ნ.შ.კ.	492,00	7,97
მ.კ.კ.	481,00	2,05

კაშხლის სიგრძე 806 მ-ია, ხოლო კაშხლის სიგანე თხემის ნიშნულზე - 8 მ, კაშხლის მაქსიმალური სიმაღლე 35.2 მ-ია, თხემის ნიშნული-495.2 მ. პრაქტიკული პროფილის წყალსაშვის ქიმის ნიშნული მდებარეობს 492.00 მ-ის ნიშნულზე, რომელიც არხაშენის წყალსაცავის ნორმალური შეტბორვის დონის ტოლია.




ნახ. 1. პროექტში არსებული პრაქტიკული და შემოთავაზებული ფართოზღურბლიანი წყალსაშვ ნაგებობათა შეთავსების სქემა

წყალსაგდები ნაგებობის სიგრძე ტხემის გასწვრივ 40 მ-ია, ხოლო შემაუღლებელი ნაგებობის სიგანე სწრაფდენამდე 40 მ-დან 8.5 მ-მდე იცვლება. სწრაფდენის მთლიანი სიგრძე შეადგენს 463.5 მ, ხოლო სიგანე 8.5 მ-ია. სწრაფდენის ბოლოში განთავსებულია 1 მეტრი სიღრმისა და 8.5 მ-დან 40 მ-მდე სიგანის ნაკადის ენერჯის ჩამქრობი ჭა.

საპროექტო ორგანიზაციის მიერ დაპროექტებულია პრაქტიკული პროფილის წყალსაშვები ნაგებობა, რომელიც შემაუღლებელი ნაგებობით უკავშირდება სწრაფდენს. შემაუღლებელი ნაგებობები საკმაოდ გავრცელებულ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება. მათ სახალხო მეურნეობების სხვადასხვა დარგში სხვადასხვა დანიშნულება აქვს.


ა)

გეგმა



ბ)

ჭრილი I-I



ნახ. 2. არხაშენის წყალსაცავის ჰიდროკვანძის გეგმა

ასე, მაგალითად ჰიდროენერგეტიკასა და მელიორაციაში შემაუღლებელი ნაგებობის მიზანია სარწყავი არხის ტრასის გადაყვანა გადასაკვეთი ადგილის მაღალი ნიშნულიდან შედარებით დაბალ ნიშნულზე; შემაუღლებელი ნაგებობები გამოიყენება აგრეთვე წყალსაცავებიდან ზედმეტი წყლის გადასაგდებად. ასევე სამდინარო ნაგებობებში სადაც აქტიურად იყენებენ წყლის ენერგიას ხე ტყის დასაცურებლად. შემაუღლებელი ნაგებობა გამოიყენება, როგორც მოწყობილობა, რომელიც ენერგიის ჩამქრობი ნაგებობაა რაბების შევსების და დაცლის დროს.

პროექტის მიხედვით პრაქტიკული პროფილის წყალსაშვზე გადადინებული წყლის ნაკადი ჩაედინება რკინა-ბეტონის სწორკუთხა, სიმეტრიული ფორმის არაპრიამულ, არცილინდრულ სწრაფდენთან შემაუღლებელ ნაგებობაში, რომელიც აერთებს წყლის ნაკადს სწრაფდენთან შეერთების კვეთში, სადაც სწორკუთხა არხის ფუძის სიგანე შეადგენს 8.5 მეტრს. ნახ.1. წარმოდგენილია ალტერნატიული სქემის მონახაზი, რომელიც მთლიანად ცვლის წყალსაშვები ნაგებობის ფორმას და ამცირებ სამუშაოთა წარმოების რაოდენობასა და ფულად დანახარჯებს მშენებლობის დროს [36, 37].

კვლევა, შედეგები და მათი განსჯა

თავი. 2 ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების გაანგარიშება

2.1. ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გადადინებული წყლის ნაკადის სიღრმის განსაზღვრა


წყალსაგდები ნაგებობის გაანგარიშებისა და პროექტირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყალსაშვები, შემაუღლებელი და სწრაფდენი ნაგებობების გეომეტრიულ მოხაზულობას. რადგან მათი ფორმა განაპირობებს ნაკადის გადადინებას მთელ რიგ ჰიდრავლიკურ პროცესებს, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს ნაკადის ჰიდრავლიკურ მახასიათებლებზე. კვლევის მიზანია განისაზღვროს ფართოზღურბლიანი წყალსაშვიდან გადადინებული წყლის ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლები არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის შემაუღლებელ ნაგებობაში, აიგოს ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირი. საჭიროა უპირველესყოვლისა განისაზღვროს უშუალოდ ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გადადინებული ნაკადის ზედაპირის ნიშნულები. ჰიდრავლიკურ გაანგარიშებათა საფუძველზე დადგინდეს არაპრიზმული შემაუღლებელი ნაგებობის ფართოზღურბლიან წყალსაშვთან შეერთების კვეთში წყლის ნაკადის სიღრმე. რაც შემდგომში უფრო ხელსაყრელს გახდის ბერნულის განტოლების გამოყენების საფუძველზე სასრულსხვაობათა მეთოდით გავიანგარიშოთ და ავაგოთ ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირი [38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45].

განვიხილოთ სხვადასხვა ფორმის ფართოზღურბლიანი წყალსაშვი ნაგებობები გეომეტრიული მოხაზულობის თვალსაზრისით, ხოლო შემდგომში კვლევისათვის მათგან ავარჩიოთ ყველაზე ხელსაყრელი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ფორმის ნაგებობა, რომელის ხარჯის კოეფიციენტი m და ხორკლიანობის კოეფიციენტის მიხედვით

საკვლევი თემატიკისათვის იქნება უფრო ხელსაყრელი და სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილ კვლევას გახდის ოპტიმალურს. სხვადასხვა გეომეტრიული მოხაზულობის მქონე წყალსაშვი ნაგებობების, გეომეტრიული მოხაზულობა განაპირობებს ხარჯის კოეფიციენტს. ჰიდრავლიკური თვალსაზრისით ფართოზღურბლიანი წყალსაშვი არის ორი სახის დაუტბორავი ანუ დაუძირავი და დატბორილი ანუ დაძირული ტიპის.

რადგან სადისერტაციო კვლევის მიზანია გავიანგარიშოთ ჰიდრავლიკური თვალსაზრისით ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების პროცესები და მიღებული შედეგები შევადაროთ პარქტიკული პროფილის წყალსაშვიდან გადმოდინებული წყლის ნაკადის ჰიდრავლიკურ მახასიათებლებს არაპრიზმულ, არაცილინდრული ფორმის შემაურლებელ ნაგებობაში, შესაბამისად ამ კვლევის საფუძველზე წარმოვადგინოთ მთელი რიგი, როგორც ჰიდრავლიკური ანგარიში და მის საფუძველზე ფინანსურ-ეკონომიკური უპირატესობები პროექტით არსებულ წყალსაგდებ ნაგებობასთან შედარებით. აქედან გამომდინარე პრაქტიკული პროფილის წყალსაშვი შედარებით რთული მოხაზულობის მქონე ნაგებობაა ვიდრე ფართოზღურბლიანი წყალსაშვი. ამიტომ ამ პირობის გათვალისწინებით ვირჩევთ მახვილწიბოიანი მოხაზილობის წყალსაშვს. [46, 47]

დაუტბორავ ანუ დაუძირავ წყალსაშვის ზღურბლზე წყლის ნაკადი რომელიც ხასიათდება თავისუფალი ზედაპირის Z' და Z'' ზედაპირების ორი ვარდნილით. ნაკადის თავისუფალი ზედაპირის პირველი ვარდნა გამოწვეულია ცოცხალი კვეთის შემცირებით ნაკადის შესასვლელ ადგილას, რაც თავის მხრივ იწვევს ნაკადის სიჩქარის გაზრდას და კინეტიკური ენერგიის გაზრდას პოტენციური ენერგიის ხარჯზე. სწორედ ეს ფიზიკური პროცესი განაპირობებს ნაკადის უდაწნეო წყნარი დინებისას ცოცხალი კვეთის შევიწყობის ადგილებში სითხის დონის დაცემას. მეორე ვარდნა ნაკადის Z'' . არის ზღურბლის ქვემოთ გამოსასვლელ კვეთთან.



ნახ. 3. დაუძირავი ფართობურბლიანი წყალსაშვი

ფართობურბლიანი წყალსაშვის ზღურბლზე დაწნევის სიგრძეზე დანაკარგის უგულვებელყოფა ხდება თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობა $(2 \div 4) H < \delta < (8 \div 10) H$ და შესაბამისად წყალსაშვის ზღურბლის ფარგლებში ზედაპირი შესაძლოა მივიჩნიოთ ჰორიზონტალურად თუ სრულდება შემდეგი პირობა $h_1 = h_2 = h = const$. 1-1 და 2-2 კვეთებს შორის. წყალსაშვზე ნაკადის მოძრაობა მდოვრედ ცვალებადია. ამ კვეთების მდებარეობა განისაზღვრება ემპირიული დამოკიდებულებით $\delta_1 \approx 2H = 2.28$ მ; $\delta_3 = 0 \div H = 1.1$ მ; $\delta_2 = 6.42$ მ; $\delta = 9.8$ მ; სადაც δ_1 არის მდოვრედ ცვალებადი უბნის მოძრაობის დასაწყისი δ_3 – დასასრული.

ბელანჟეს პოსტულატი. საანგარიშო H დაწნევისათვის მყარდება h სიღრმის ისეთი სიდიდე, რა შემთხვევაშიც წყალსაშვზე მიედინება ნაკადის მაქსიმალური ხარჯი. ნახაზი 3 გვიჩვენებს, რომ $0 < h < H_0$ მართლაც, როცა $h = 0$ -ს გამოსახულებიდან $Q = 0$ -ს; $h = H_0$ -ს, $Q = 0$ -ს მაშასადამე,

$$Q = bh\varphi\sqrt{2g(H_0 - h)} = f(h) \quad (2.1.1)$$

ფუნქციას $0 < h < H_0$ შუალედში აქვს მაქსიმუმი. საძიებელ h სიღრმეს ვპოულობ განტოლებიდან

$$\frac{\partial Q}{\partial h} = 0 \quad (2.1.2)$$

ანუ

$$\begin{aligned}\frac{\partial Q}{\partial h} &= \frac{d}{dh}(\varphi b h \sqrt{2g(H_0 - h)}) = \varphi b \sqrt{2g} \frac{d}{dh}(h \sqrt{H_0 - h}) = \\ &= \varphi b \sqrt{2g} \left(\sqrt{H_0 - h} - \frac{h}{2\sqrt{H_0 - h}} \right) = 0\end{aligned}\quad (2.1.3)$$

საიდანაც

$$\sqrt{H_0 - h} = \frac{h}{2\sqrt{H_0 - h}} \quad (2.1.4)$$

და

$$h = \frac{2}{3}H_0 \quad (2.1.5)$$

თუ h -ის ამ მნიშვნელობას შევიტანთ გამოსახულება 2.1.1-ში, ნაკადის ხარჯის გამოსაანგარიშებელ გამოსახულებას, წყლის ნაკადი რომელიც გადაედინება ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გამოისახება განტოლებით [48].

$$Q = \varphi b \cdot \frac{2}{3}H_0 \sqrt{2g \left(H_0 - \frac{2}{3}H_0 \right)} = \varphi \frac{2}{3\sqrt{3}} b H_0 \sqrt{2gH_0} \quad (2.1.6)$$

ანუ

$$Q = m b \sqrt{2gH_0^{\frac{3}{2}}} \quad (2.1.7)$$

სადაც

$$m = \varphi \frac{2}{3\sqrt{3}} = 0.385 \quad (2.1.8)$$

აქვე ყურადსაღებია ფართოზღურბლიანი წყალსაშვის შესასვლელი უბნის და უშუალოდ ზღურბლის ნიშნულებს შოერის არსებული P_b სიმაღლე, რაც არსებით გავლენას ახდენს ნაკადის გადადინებაზე და m კოეფიციენტების მნიშვნელობაზე. თუ წყალსაგდები ნაგებობის კელის სიმაღლე $P_b = 0$ მაშინ ხარჯის m კოეფიციენტი იღებს და უტოლდება 0.385.

$$k = \frac{h}{H_0} = \frac{2}{3} \quad (2.1.9)$$

2.1.9 ფორმულიდან ვიღებთ h/H_0 ფარდობა, ბელანჟეს მიხედვით, მუდმივია და ის 2/3-ის ტოლია.

2.2 არხაშენის წყალსაცავის მონაცემებით ფართოზღურბლიანი წყალსაშვზე გადადინებული ნაკადის სიღრმის განსაზღვრა

არხაშენის ხეობა, სადაც პროექტით გავალისწინებულია განთავსდეს ადგილობრივი მასალის ქვანაყარი კაშხალი ჰიდროლოგიური რეჟიმი არ არის შესწავლილი, წყლის ბუნებრივი ჩამონადენი და მისი შიდა წლიური განაწილება გაანგარიშებულია იზოტაპებიანი რუკის მეშვეობით. საანგარიშო მაქსიმალური წყლის ხარჯი, რომელიც უნდა გაატაროს წყალსაგდებმა ნაგებობამ გამონგარიშებულია გ. დ. როსტომოვის მეთოდით, რომელისც ითვალისწინებს კოკისპირული წვიმებისა და გეო-მორფოლოგიურ მახასიათებლებს მდინარე არხაშენი-ხევის აუზის. მაქსიმალური წყლის ნაკადი მდინარე არხაშენი-ხევის კაშხლის განთავსების კვეთში გაანგარიშებულია ფორმულით.

$$Q = 16.67 \cdot a \cdot \beta \cdot \sigma \cdot \Omega \cdot \frac{H}{T} \text{ მ}^3/\text{წმ} \quad (2.2.1)$$

სადაც: a – წყლის ხარჯის კოეფიციენტი.

β – კოეფიციენტი ნალექის არათანაბარი განაწილების დროს.

Q – მაქსიმალური წყლის ხარჯი სხვადასხვა უზრუნველყოფის დროს.

Ω – მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი.

H – მოსული საშუალო ნალექის რაოდენობა მმ.

T – კოკისპირული წვიმების ხანგრძლივობა (წთ).

$$Q = 16.67 \cdot 0.39 \cdot 0.63 \cdot 80 \cdot 0.285 = 93.39 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

შესაბამისად მაქსიმალური კატასტროფული წყლის ხარჯი არხაშენის


წყალსაცავისთვის შეადგენს მიახლოებით 95 მ³/წმ. ცხრილი 2. მოცემულია სხვადასხვა საანგარიშო მაქსიმალური წყლის ხარჯის უზრუნველყოფა.

ცხრილი 2.

სხვადასხვა საანგარიშო მაქსიმალური წყლის ხარჯის უზრუნველყოფა.

უზრუნველყოფა, %	0.5	1.0	3.0	5.0	10.0
წყლის საანგარიშო მაქსიმალური ხარჯი,	135.0	95.0	74.0	65.0	50.0

გლობლური დათბობის პირობების გათვალისწინებითა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე საინვესტიციო პროექტის წყალსაგდებ ნაგებობას შეეცვალა კლასი, რამაც გამოიწვია უზრუნველყოფის გაზრდა და შესაბამისად წყლის კატასტროფული ხარჯის მნიშვნელობა გადაანგარიშებათა საფუძველზე გახდა ახარშენის წყალსაცავის კაშხლის განთავსების კვეთში 95 მ³/წმ-ის ნაცვლად გახდა 135 მ³/წმ.



ნახ. 4. ფართოზღურბლიან წყალსაშვიზე გადადინებული წყლის

ნაკადი $Q = 135$ მ³/წმ

რადგან ჩვენთვის ცნობილია ახარშენის წყალსაცავში წყალსაგდები ნაგებობის განთავსების კვეთში წყლის მაქსიმალური, კატასტროფული

ხარჯი, რომელიც უნდა გაატაროს წყალსაგდებმა ნაგებობამ, კვლევის მიზნით საჭიროა განვსაზღვროთ ფართოზღურბლიანი წყალსაშვიდან გადადინებული წყლის სიმაღლე 135 მ³/წმ-ში კატასტროფული წყლის ხარჯის დროს თავი 2.1-ში მოცემული 2.1.5, 2.1.7, ფორმულების გამოყენებით

$$Q = mb\sqrt{2g}H_0^{3/2}$$

$$135 = 0.385 \cdot 40\sqrt{2 \cdot 9.81} \cdot H_0^{3/2}$$

$$H_0 = 1.57 \text{ მ}$$

$$h = \frac{2}{3}H_0$$


$$h = \frac{2}{3} \cdot 1.57 = 1.05 \text{ მ}$$

წყალსაშვის გეომეტრიული მოხაზულობის, საანგარიშო სქემისა და შესაბამისი ფორმულების გამოყენებით განისაზღვრა ფართოზღურბლიან წყალსაშვზე გადადინებული წყლი ნაკადის სიმაღლე $Q = 135$ მ³/წმ წყლის ხარჯის დროს არაპრიზმული, არაცილინდრული არხის ფართოზღურბლიან წყალსაშვთან შეუღლების, შეერთების $m - m$ კვეთში, ნაკადის სიღრმე შეადგენს $h = 1.05$ მ.

2.3 თავისუფალი ზედაპირის მრუდის აგება ბერნულის განტოლებით (ჩარნომსკი-ხესტედეს მეთოდი).

ფართოზღურბლიანი წყალსაშვის წყალსაგდებ ნაგებობასთან შეუღლების ჰიდრავლიკურ კვლევაში საჭიროა განვიხილოთ არაპრიზმული, არაცილინდრული ფორმის ღია კალაპოტში ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდი აგების თეორია, რომელიც ეფუძნება ჩარნომსკის-ხესტედეს მეთოდს. განვიხილოთ არაპრიზმული, არაცილინდრული არხი, რომელიც სიგრძეზე ვიწროვდება ან ფართოვდება თანაბრად, შესაბამისად მისი განიკვეთის ფართობი ყველა კვეთში განიცდის ცვლილებას. ნახ.5.

მოცემულ შემთხვევაში არათანაბარი მოძრაობის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, ვრცელდება მთლიანობაში არაცილინდრულ კალაპოტზე. ამ სახით, ეს განტოლება გვაძლევს შესაძლებლობას ნაკადის სიღრმე dh განისაზღვროს ელემენტარულ ds სიგრძეზე, მაგრამ დიფერენციალური განტოლება არათანაბარი მოძრაობის,



ნახ. 5. არაპრიზმული, არა ცილინდრული კალაპოტი

აისახება რთული დამოკიდებულებით და ასეთი დიფერენციალური განტოლება საერთო შემთხვევაში მიახლოებითაც არ ინტეგრირდება.

$$\frac{dh}{ds} = \frac{i - \frac{Q^2}{\omega^2 C^2 R} \left(1 - \frac{a C^2 R}{g \omega} \frac{\partial \omega}{\partial s} \right)}{1 - \frac{a Q^2 B}{g \omega^3}} \quad (2.3.1)$$

შესაბამისად ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდის აგება არაცილინდრული, არაპრიზმული არხში დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. წინასწარ არ არის ცნობილი თუ როგორი ფორმა შეიძლება ქონდეს ნაკადს არაპრიზმულ კალაპოტში.

ამ სიტუაციის გათვალისწინებით, ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის ასაგებად არაპრიზმული კალაპოტის შემთხვევაში გამოვიყენოთ ბერნულის განტოლება, დავყოთ მოცემული არაპრიზმული არხი მონაკვეთებად. გვექნება არხის კალაპოტი, წყლის ხარჯი Q და წყლის სიღრმე h_n , არხის ბოლო $n - n$ კვეთში. [49]

